„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი ● №21-22 (9469-70) ● 1-30 ნოემბერი ● ფასი 1 ლარი

სენაკს და სენაკელებს ვულოცავ
ეგრისობას. ჩვენ ვიმყოფებით
ნოქალაქევში და [illegible]
[illegible]
[illegible], ქართულ და ქართველებს.
ვუსურვებ საქართველოს და სენაკს
[illegible]
[illegible] ვარ, ვარ სენაკელი.
[illegible]
[illegible]
[illegible]

Сенаки маленький и уютный город.
Люди приветные, искренние, а главное
открытые душой. Это мы почувствовали
с первого дня пребывания здесь.
Муниципалитет богатый культурно,
как и в архитектуре, так и духовно.
Энергетика нас заразила. Спасибо
за приём. Желаем развиваться,
творить новые проэкты на творческих
горизонтах.
Катерина Литвиненко
заместитель мэра г. Белая Церковь

[illegible]

ეგრისობა მშვიდობის დღე-
სასწაულ [illegible]
[illegible]
შენ [illegible], შენ [illegible]
წინაშე.
ანა [illegible]

[illegible]

კულტურისა და ტრადიციების დღესასწაული

წელს, სახალხო დღესასწაული „ეგრისობა", ჩვენი კუთხის ტრადიციების და მიღწევების მრავალფეროვანი და ახლებური წარმოჩენით, ფოლკლორისა და თანამედროვეობის ჰარმონიული სინთეზით, ძველკოლხური პეწითა და ლაზათით, სენაკთან დამეგობრებული ქალაქის „ბელაია ცერკოვის" დელეგაციას, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს მეექვსედ შეეგება.

იქ, სადაც წინაპართაგან ნაკვეთი ქონგურები ათასწლეულებს ითვლიან - ქუჯის ისტორიულ ქალაქში თავმოყრილ ყველა თაობის სტუმარს ახლად დაფუძნებული ყველის ფესტივალი, ეთნოგრაფიული კუთხეები, მეგრული სამზარეულოს მრავალფეროვნება, ხალხური რეწვისა და ადგილობრივ შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა მასპინძლობდა.

ამაყი ვარ, რომ „ეგრისობის" სახალხო დღესასწაულზე, წილად მერგო სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიმენიჭებინა გამორჩეული ღვაწლის მქონე ღირსეული ადამიანებისთვის — როგორც სასულიერო, ასევე საერო პირთათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები არიან.

„ეგრისობის" სახალხო დღესასწაული სამეგრელოს ულამაზესი კუთხის წეს-ჩვეულებების, მიღწევების, ნიჭიერების წარმოჩენის ზეიმია და ის, მომავალ წელს, უფრო მასშტაბურ ხასიათს შეიძენს.

ყველას გილოცავთ კულტურისა და ტრადიციების ამ გამორჩეულ დღესასწაულს!

ლევან კუპრეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

„ეგრისობა" – ერთიანი საქართველოს სიმბოლო

სენაკის მუნიციპალიტეტისათვის უკვე მეექვსე წელია შემოდგომა გამორჩეულია, რადგან ამ დროს ტარდება „ეგრისობის" სახალხო დღესასწაული, რომელიც თანამედროვეობასთან ერთად, ტრადიციებისა და მდიდარი კულტურის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომაც, „ეგრისობის" ფარგლებში ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნოქალაქევში, ცივილიზაციის უძველესი ცენტრის ტერიტორიაზე ჩატარდა.

სახალხო დღესასწაული წელსაც მრავალფეროვანი და გამორჩეული იყო. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ჩვენს მუნიციპალიტეტს, სენაკთან დამეგობრებული ქალაქის „ბელაია ცერკოვის" წარმომადგენლები ამჯერედაც სტუმრობდნენ. მისასალმებელია, რომ ჩვენს შორის ურთიერთობის გამტკიცება ხდება.

ვულოცავ სენაკელებს და სრულიად საქართველოს „ეგრისობას", როგორც ერთიანი და ძლიერ საქართველოს სიმბოლოს.

კახაბერი რუსია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დღესასწაული, რომელიც წარსულს გვახსენებს და გამთლიანებისკენ მოგვიწოდებს

„ეგრისობა "-არა მარტო ჩვენი კუთხის, არამედ სრულიად საქართველოს დღესასწაულია, ეს არის ჩვენი ხალხის ისტორიულ მესიერებაში დალექილი ერთად ყოფნის დაუოკებელი სურვლი.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ დღესასწაულის გასამართად სწორედ ციხე-გოჯი, „არქეოპოლისი" შეირჩა, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების სიმბოლო.

ჩვენ დიდმა სახელოვანმა წინაპრებმა: ქართლის მეფე ფარნავაზმა და ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ სწორედ აქ ჩაუყარეს საფუძველი ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ამ პატრიოტულ იდეას სიმბოლურად ეხმიანება პოეტის სიტყვები:.

აქ მარხია ძირისძირი ელინური მითების,
აქ ბალავარს თლიდა ქუჯი ისტორიის დიდების"..

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ჩემი ქვეყნის ამ ულამაზესი კუთხის ისტორიის სიყვარულმა გადამაწყვეტინა აქვე, სულ რამდენიმე კილომეტრში ჩამომეყალიბებინა თანამდროვე ტიპის საწარმო, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ კუთხის აღორძინება-განვითარებას. ისიც არ არის შემთხვევითი, რომ იგი სწორედ „არქეოპოლისი"-ს სახელს ატარებს და შეიძლება ითქვას ღირსეულად განაგრძობს იმ ისტორიულ ტრადიციებს, რასაც ამ კუთხეში ათეული საუკუნეების წინ ჩაეყარა საფუძველი.

და დღეს აურიამულებული, გაცოცხლებული ისტორიული ქალაქი წარსულში გვაბრუნებს, უკეთეს ნათელ მომავალზე მიგვანიშნებს და გვაიმედებს, რომ კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ჩვენი ქვეყნის ისტორიული ერთიანობის მტკიცე ბალავარს.

ეგრისობას ვულოცავ ყველა სენაკელს, ჩამობრძანებულ სტუმრებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ზეიმის ორგანიზატორებს, მონაწილეებს და ვუსურვებ დღეგრძელობას, ნათელ მომავალს, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვწეობას.

უფალი ფარავდეს ეგრისსა და სრულიად საქართველოს.

უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით
დემურ გაფელია

„....დგას მეცხოვნედ მარადისობა"

დიდია სახალხო დღესასწაულების მნიშვნელობა. მათ დიდი შინაარსობრივი დატვირთვა ახლავს თან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ეგრისობის" დღესასწაული არამარტო სენაკის მუნიციპალიტეტს, არამედ მთელ რეგიონს ეკუთვნის. რიგით მეექვე ეგრისობა 2 ნოემბერს ტრადიციულად ქალაქიდან დაიწყო და არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე გაგრძელდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წლების წინ სენაკთან დამეგობრებული ქალაქის ბელაია ცერკოვის დელეგაციის ჩამოსვლა, რაც მომავლი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების საწინდარია. „ეგრისობის" დღესასწაული კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობებით იყო დატვირთული.

სტუმრებმა სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში დაათვალიერეს ცნობილი მხატვრის, მწერლის, სენაკის საპატიო მოქალაქის რეზო ადამიას პერსონალური გამოფენა, შემდეგ ჟიული შარტავას და მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ექსპონატების გამოფენა-დათვალიერება. სტუმრებმა და მასპინძლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ბიუსტი. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის წინ საგანგებოდ გაშლილ ხალიჩაზე მოეწყო სანახაობა სპორტის ეროვნულ სახეობაში „ქართული ჭიდაობა", დელეგაციამ დიდ ინტერესით დაათვალიერა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრი. გაეცნენ თეატრის დაარსების და განვითარების ისტორიას, ჭერის ორიგინალურ მოხატულობას, მოისმინეს მოკლე ინფორმაციები აქ მოღვაწე თეატრალებსა და მსახიობებზე. შემდეგ გადაინაცვლეს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. აქ აგრეთვე გამოფენილი იყო სამხატვრო სკოლის პედაგოგების უნიკალური ნამუშევრები.

კონცერტზე სტუმრად იმყოფებოდა დელეგაციის შემადგენლობა უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვიდან: ბელაია ცერკოვის ვიცე-მერი – ინნა ნოვოგრებსკაია, ვიცე-მერი – კატერინა ლიტვინენკო, ეკონომიკური სამსახურის უფროსი – იულია ზემეცკაია, კულტურისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი – იულია კოვალსკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი – გალინა ზაგორონდაია. საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონის" ავტორი და წამყვანი ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი. კონცერტს სტუმრებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

4 საათზე ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში იწყო სტუმრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მოსახლეობამ, ახალგაზრდებმა თავმოყრა. აქ მუნიციპალიტეტის თემთა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ცენტრთა კუთხეები იწონებენ თავს, ფაცხები, მეგრული კოპწია ეზოთი, ტყრუშული ღობით, შემოდგომის ხვავითა და ბარაქით, სხვადასხვა ნუგბარებით ირჩევა, შეხვდებით აგრეთვე ხალხური რეწვის ნიმუშებს, აგროპროდუქცია ჩაის სახითაა წარმოდგენილი. ცალკე პავილიონში, მინის ვიტრაჟებით შემოსაზღვრულ სივრცეში, ყველის ფესტივალი მასპინძლობს ზეიმის მონაწილეთ, იმართება დეგუსტაციები და მასტერკლასები ყველის კერძის მომზადებაში.

„დგანან აღმა დაღმა დროის ფალავნები", ქონგურები დაფერილი, მიწის წიაღიდან ამომზევებული ციხე-ქალაქის საძირკვლები, საუკუნეების ბლონდებით შემოგარსული კლდეები და ჩუმად გვიმზერენ, ყურს გვიგდებენ, თავიანთ მეხსირერების სკივრში ალბათ დღევანდელობის ინფორმაციას ფუთავენ.

„ეგრისობის" სახალხო დღესასწაული საზოგადოებას მიულოცეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ოთარ დანელიამ, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია), ქალაქ ბელაია ცერკოვის ვიცე მერებმა: ინნა ნოვოგრებსკაიამ და კატერინა ლიტვინენკომ.

დავდივართ პავილიონიდან პავილიონში, აქ ყველგან სითბო და სიყვარულია, ყველა კუთხე ერთმანეთს სჯობს. ყველის ფესტივალზე სიმრავლეა ხალხის: „მეგრულ ყველს აქამდე სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე. ხედავთ „სეპარატისტი" ვარ – დღეს მეგრულ კაზილა და გუდის ყველზე გიამბობთ... ქართული ყველი და ღვინო ასაკით ორივე უძველესიაო"- გვითხრა პროექტ „ქართული ყველის" ავტორმა ანა მიქაძემ.

„კოლხეთს ისტორიულად უნიკალური ყველისა და გასტრონომიის საგანძური აქვს. მე წავიკითხე ლექცია პურის შესახებ. ყველი და პური ქართული უნიკალური მიქსია. მრავალ „ეგრისობას...." -ესმა კუნჭულია, გასტრონომიული მუზეუმის დამფუძნებელი.

ჯი-ჯი-ჯი კომპანიას (ხელმძღვანელი გელა გარჩაგოდაშვილი) წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი სახეობის მარტვილის ჩაი: მწვანე და შავი სადადიანო, ჩვეულებრივი შავი და მწვანე, აგრეთვე ერთჯერადი ჩაი. „თითქმის 14 წელია არსებობს ჩვენი კომპანია. ჩაის ვამზადებთ ადგილობრივ ნედლეულზე და რეალიზებას ვახდენთ საქართველოს მასშტაბით. „ეგრისობაზე" პირველად ვართ. მოხიბლული ვართ დღესასწაულით. გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ" -გვითხრეს ჯი-ჯი-ჯი-ს წარმომადგენლებმა-ქალბატონებმა ლიკა ბეჭვაიამ და ნუცა ლაზარიამ.

(გაგრძელება მე-3 გვ-ზე)

სტუმარ-მასპინძლები დათვალიერების პროცესში აზრს ცვლიან, რამდენიმე მათგანს ჩვენც გავესაუბრეთ:

ნინო ვიბლიანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე -„ყველა ქალაქს თავის წარსული და ისტორია აქვს. დღესასწაულებიც გამორჩეული. „ეგრისობაც“ ერთერთი ასეთი დღესასწაულია, ყველას გილოცავთ ამ დღეს".

ნინო ქებულაძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის სარესტავრაციო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი - „ძალიან მიყვარს სამეგრელო, 30 წელია მჭიდრო კავშირი მაქვს ამ კუთხესთან. ამიტომ ნოქალაქევი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, მიყვარს აქაური ხალხი, გულიანი, საქმისადმი სკურპულოზური მიდგომით, მიყვარს აქაური ტრადიციები, გვერდში გვიდგანან ადგილობრივი ხელმძღვანელები. ეს დღესასწაული ერთიანი საქართველოს სიმბოლოა. გილოცავთ.“

ბადრი კალანდარიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – „ეგრისობა" სახალხო ზეიმია, ის ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლოა. მიხარია, რომ განახლების ფაზაშია ციხე-გოჯი. ვისურვებდი რესტავრაციის დამთავრების ჟამი ჩვენი ქვეყნის გამთლიანების პერიოდს დაემთხვეს. მაშინ ოს და აფხაზ ძმებთან თანაცხოვრება გვეზეიმოს“.

თეონა ცირამუა, გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელი – „კარგია სახალხო დღესასწაულები რომ ეწყობა. „ეგრისობა" მუნიციპალიტეტის ისტორიას, მის წარსულს და აწმყოს წარმოაჩენს. ყველაფერი საინტერესოა, იმედია ამინდი არ გაუარესდება და ხელს არ შეგვიშლის“

„ეგრისობას" ყოველ წელს ვესწრებით. ძალიან მოგვწონს, რადგან ის სამეგრელოს დიდება და სახელია, ისტორიაა.-გვიყვებიან, გვიხსნიან დღესასწაულის მონაწილენი.

„ეგრისობის" მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ სენაკის საპატიო მოქალაქეების არჩევა, აღნიშნული წოდება მიენიჭათ: საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოსაყდრეს, სენაკის და ჩხოროწყუს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი), ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბას (გიგიბერია), ღვაწლმოსილ ექიმს ცისანა შარტავას, საქართველოს პარლამენტის წევრს, აბაშისა და მარტვილის მარჟორიტარ დეპუტატს ოთარ დანელიას, წარმატებულ მეწარმესა და ქველმოქმედს რეზო გარუჩავას, ისრაელში, ქალაქ ბერშავში მოღვაწე სენაკელ ებრაელს, დამსახურებულ ქორეოგრაფს დავით ეფრემაშვილს, სენაკის კოლორიტს, გოჩა ლომიას. პროფესიულ სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმანობისთვის, „სენაკზე მზრუნველის“ წოდება მიენიჭა ასირიელ გოგი აშკაშიძეს.

„ეგრისობის" სახალხო დღესასწაულზე სტუმართა შორის იყვნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერილია, გუბერნატორის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, მოადგილეები: ნინო ვიბლიანი, დავით ვერავა, ლუდუკი ხასია, კულტურული მემკვიდერობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დურექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის მოადგილე გურამ მისაბიშვილი, მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია, სამეგრელოს მუნიციპალიტეტების მერები, სამღვდელოების წარმომადგენლები, ბელაია ცერკოვის წარმოადგენლები და ასე შემდეგ.

სახალხო ზეიმზე სტუმრებს მასპინძლობდნენ მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის მუშაკები და საკრებულოს წევრები.

დღესასწაული გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც ანსამბლ „შვიდკაცასთან“ ერთად მონაწილეობდა ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები: „კოლხური ტრიო“, ვაჟთა ანსამბლი და ქორეოგრაფიული ანსამბლები: „კუჩხიბედინერი“, „კოლხი“ „ლილე“, „ოცნება“, „სენაკი“, ახალგაზრდული თეატრის „ფიროსმანის“ მსახიობებმა შთამბეჭდავად გააცოცხლეს საქართველოს მეფეები და ქართული ნაწარმოებების პერსონაჟები. საღამო მიჰყავდა მსახიობ გიორგი ჭანტურიას. კონცერტმა გვიანობამდე გასტანა. ბინდი შეეპარა ციხე-ქალაქს, მუსიკის, სიმღერის ფონზე სეირნობდნენ, ხალისობდნენ ახალგაზრდები.

და ამორძალივით იდგა კლდეზე, „ჰმზერდა ტურფა საუფლოს, ციხე-გოჯი, კოლხთა დედაქალაქი“.

ნინო სართანია

რეზო ადამია - 80

ფუნჯისა და სიტყვის ოსტატი



21 ოქტომბერს სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა სახელოვანი მხატვრის, მწერლის, ესეისტის, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრის რეზო(ემელიანე) ადამიას ნამუშევრების გამოფენა.

რეზო ადამიას 2018 წელს 80 წელი შეუსრულდა. ის დაიბადა 1938 წლის 21 თებერვალს სოფელ ძველ სენაკში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სამხატვრო სასწავლებელში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებლად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რესტავრატორად, მეცნიერ-თანამშრომლად. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა სხვადასხვა წლებში გაიმართა თბილისში, საფრანგეთში(პარიზი, ნორმანდია, ქ. პორტ ბაი), აზერბაიჯანში, თურქეთში, იაპონიაში, ინგლისში, პოლონეთში, რუსეთში, სომხეთში და ა.შ.

ხელმძღვანელობდა ძველი სენაკის მაცხოვრის და მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის სალხინოს(დადიანისეული) ეკლესიების საქველმოქმედო აღდგენის ორგანიზაციას, ხობის, ფოთის, სენაკის ეპარქიის დავალებით მუშაობდა ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესიის აღდგენის ორგანიზებაზე. არის ეგრისის კავკასიის ხალხთა და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, საქართველოს მხატვართა კავშირის სენაკის განყოფილების ხელმძღვანელი, თავადაზნაურთა საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის წინამძღოლი, მრავალი სიგელისა და დიპლომის (მათ შორის ქ. დიჟონის საერთაშორისო გამოფენის) მფლობელი.

ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა –ფშაველას, გურამ რჩეულიშვილის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული პრემიები.

რეზო ადამიამ 1978 წელს შექმნა ოჯახი. მეუღლე ქალბატონი ნანი კვარაცხელია –ადამია, პროფესიით პედაგოგი მხარში უდგას ხელოვანს და უადვილებს შემოქმედებით საქმიანობას. შვილები მაია და მედეა ადამიები საზოგადოების ღირსეული წევრები არიან. მაია მხატვართა კავშირის წევრია, ეხმარება მამას გამოფენების კატალოგის შედგენაში, პრესაში გამოქვეყნებული მასალების, რადიო-ტელევიზიაში გადასაცემი სიუჟეტების მომზადებაში და საერთოდ შემოქმედებით საქმიანობაში.

პერსონალურმა გამოფენამ, რომელსაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის, მუნიციპალიტეტის მერიიის, საკრებულოს, კულტურის სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ შექმნილი შედევრები-„კოლხური ოდების" ციკლი და შემოქმედის თვალით დანახული ნოტრ-დამი. მნახველს ასევე შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა რეზო ადამიას გამოცემული წიგნებს, პარიზულ დღიურებს.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა სამხატვრო გალერეის სპეციალისტმა ლერი კართხიამ. გამომსვლელებმა: შუშანიას სავანის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მელქისედეკმა, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში დავით ფარცვანიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, „კოლხური ოდების" გადარჩენის პროექტის ავტორმა პაატა ქურდოვანიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ზაზა ნაჭყებიამ, საკრებულოს წევრმა ინგა ქარდავამ, „კოლხური ტრიოს " წევრმა დარეჯან ფაჩულიამ, მუზეუმის სპეციალისტმა დამირ კუჭავამ, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი ადამიამ, მწერლებმა ლანდა მასხულიამ, ბორის დავითიამ, მუზეუმის სპეციალისტმა მარინე აბრამიამ ისაუბრეს მხატვრის ინდივიდუალიზმზე და შემოქმედებაზე. ხალხური და თანამედროვე სიმღერები შეასრულეს მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრთან არსებულმა ჯგუფებმა „კოლხურმა ტრიომ" და ვაჟთა ანსამბლმა. ეს გახლდათ მხატვარ რეზო ადამიას რიგით მეორე პერსონალური გამოფენა სენაკში. პირველი გამოფენა გაიმართა 1986 წელს.

მედიასთან საუბარში თავიანთი აზრი დააფიქსირეს ხელისუფლების, სამღდელოების, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

არქიმანდრიტი მელქისედეკი -წმინდა ალექსი ბერის(შუშანიას)ტაძრის წინამძღვარი - პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ჩვენს ეპარქიაში მართლმადიდებლურ ტაძრებს ამშვენებს ბატონ რეზოს მიერ რესტავრირებული ფრესკები. ეს მიუთითებს მის ეროვნულობაზე და გამორჩეულობაზე. პირადად მას და მთელ სენაკს ვულოცავ ამ დიდებულ გამოფენას. ბატონ რეზოს ნახატებიდან ანათებს მზე. მზე და ნათელი არ მოკლებოდეს მის სავალ გზას. დიდია ღვთის ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ხელს შეაქმნევინოს ასეთი შედევრები.

დავით ფარცვანია- სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე-არამარტო სენაკისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის საამაყოა ისეთი ხელოვანის დაფასება, როგორიც ბატონი რეზო ადამია ბრძანდება.

მრავალგზის პრემიის ლაურეატი, მრავალი აღიარების მქონე პიროვნება დღეს ჩვენს გვერდითაა. პერსონალური გამოფენა მეტყველებს მის ნიჭზე, ერუდიციაზე, პროფესიონალიზმზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი 40 წელია იბრძვის კოლხური ოდების გადარჩენისათვის, რომელიც გაქრობის პირას არის მისული. ამიტომაც მე ასე ვიტყოდი, ბევრი რეზო ადამია სჭირდება სენაკს, რეგიონს და ქვეყანას.

ლევან კუპრეიშვილი- სენაკის მუნიციპალიტეტის მერი- ბატონი რეზო არის პიროვნება , რომელიც პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებს. ძალიან მიხარია, რომ მან დაგვრთო ნება მისი ნახატების გამოფენა მოგვეწყო სენაკში. კოლხური ოდების თემა –ეს ის თემაა, რომელიც თვალსაჩინო კვალს ტოვებს ჩვენი რეგიონის წარსულის ყოფითი ელემენტების წარმოჩენაში.

ადგილობრივი ხელისუფლება მზად არის ყოველთვის შეუწყოს ხელი მსგავსი კულტურული ღონისძიების ჩატარებას. მინდა ვუსურვო ბატონ რეზოს ჯანმრთელობა. კვლავაც მოეწყოს პერსონალური გამოფენები როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ლერი კართხია- სენაკის სამხატვრო გალერეის სპეციალისტი-სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა მხატვარ რეზო (ემელიანე) ადამიას ნამუშევრების გამოფენა. რეზო ადამია თვითმყოფადი ფერმწერია. დღეს ჩვენ რაც ვიხილეთ ეს შემოქმედის დაუღალავი შრომის და ძიების საფასურია.

უპირველეს ყოვლისა ის ფერმწერია. მისი მთელი ყურადღება გადატანილია, კომპოზიციის პერსპექტივის კარგ ხედვაზე, ერუდიციაზე, ფერთა სწორ გადაწყვეტაზე, დახვეწილ მანერაზე, რითაც ის გამოირჩევა სხვა მხატვრებისაგან, მისი ფერები ცოცხალია, ნათელი და თბილი, სურათებში იგრძნობა ჰაეროვნება და დინამიზმი. ზოგიერთი მისი ფერწერული ტილო ვერ აჩენს დასრულებულ სახეს., მაგრამ მხატვარი არ ცდილობს მათ დასრულებას. ის ერთი დღის განმავლობაში დილიდან საღამომდე ერთი ამოსუნთქვით წერს ტილოს და ამით ჩვენ გვაძლევს ფიქრის შესაძლებლობას რომ კიდევ შეიძლებოდა მუშაობის გაგრძელება. ამაშია ზუსტად მხატვრის სიდიადე და სწორი აზროვნება. ამის ნათელი დადასტურებაა საფრანგეთში, პარიზში შესრულებული ფერწერული შედევრები, რომელსაც აღტაცების გარეშე ვერ დაათვალიერებ. აქ

ფერწერის და ფერთა ზეიმია. ეს ბატონი რეზოს სამყაროა – ულამაზესი სამყარო. ბატონი რეზო თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს კოლხურ თემას – მაგრამ მხატვარი უფრო მკაცრია ფერებში, ის გრძნობს რომ აქ ფერთა სიდიადე არ გამოდგება მეტ დროს ის უთმობს, ოდის არქიტექტურას, რამეთუ ისტორიისთვის ეს უფრო საჭიროა და აუცილებელი. ოდის თითოეული ნიუანსი დაცულია – ის მკაცრად და დიდის მონდომებით ცდილობს არ გამორჩეს თითოეული დეტალი, რადგან ყველა აქ წარმოდგენილი ოდა ინდივიდუალურია. მისი ფერწერა – აქ მეტად ლაკონურია და ნატურასთან მიახლოებული. მხატვრის ფანტაზია მიმოფენილია, მაგრამ ეს გამართლებულია და მისაღები.

ვუსურვებ ბატონ რეზოს დიდ შემოქმედებით წარმატებას, დიდხანს სიცოცხლეს – ჩვენი ქვეყნის უფრო წარმოჩენას და მსოფლიო ყურადღების მიქცევას

პაატა ქურდოვანიძე, სენაკის საპატიო მოქალაქე, ექიმი –ჩვენ ვიმყოფებით დიდი ხელოვნების ზეიმზე. მე მინდა ყველა სენაკელს, აქ მოსულ სტუმრებს მივულოცო დიდ ხელოვნებასთან ზიარების დღე, დიდ მაესტროს, ბატონ რეზოს გასულ წელს შეუსრულდა 80 წელი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, კულტურის ცენტრმა, საზოგადოებამ გადაწყვიტა მისთვის გამორჩეულად მიელოცა ეს დღე. ბატონმა რეზომ დღეს ჩვენ გაგვაოცა. ეს არის კოლხური სამყარო, კოლხური ოდები არის კოლხი კაცის საცხოვრისის დიდი საიდუმლო, დიდი სილამაზე და დიდი ტრაგედიაც. ჩვენ ვხედავთ როგორ იკეტება კოლხური ოდები, არ ისმის ბავშვების ხმა, როგორ გადის ახალგაზრდობა. თქვენ წარმოიდგინეთ ამ ოდების იდუმალება, ეს ტრაგიზმი ისეთი დიდი ხელოვნებით, ისეთი დიდი ტკივილით გადმოგვცა ხელოვანმა, რომ ათასწლეულის შემდეგ იმსჯელებენ თაობები ამ ქმნილების სიდიადეზე.

ჩვენ დღეს ვართ აბაშური ოდების ზღაპრულ სამეფოში, საბედნიეროდ დღეისათვის მხოლოდ აბაშაში შემოგვრჩა ასეთი რაოდენობის ხის არქიტექტურა.

ამ გამოფენის ძალიან დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ აქ არის შეხამება ევროპულ, პარიზულ ხელოვნებასთან. პარიზის ქუჩები და ჩვენი შუკები – ხელოვანმა ჰარმონიულად გადმოგვცა. ჩვენ ვხედვთ, რომ სამყარო არის ძალიან პატარა. ძალიან ლამაზი, მაგრამ არანაკლებ სიტურფით ხასიათდება ჩვენი სოფელი.

ეს გამოფენა უნდა ნახოს ყველა სენაკელმა და ყველა ბავშვმა. დიდი ბედნიერებაა, როდესაც მუნიციპალიტეტს, ჰყავს ასეთი დონის დიდი ხელოვანი, როგორიც გახლავთ ბატონი რეზო.

ნანა ალანია-სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- რეზო ადამიას ნიჭიერების მოწმენი გავხდით დღეს. მისი თითოეული ნახატი გვიჩვენებს გულიდან ამოსულ სიყვარულს კოლხეთისას, თავდადებულ და თავგნწირულ გრძნობას ერისა, მამულისა, სარწმუნოებისა.

(გაგრძელება მე-5 გვ-ზე)

ფუნჯისა და სიტყვის ოსტატი

(დასასრული)

ვულოცავ მას საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს.

რეზო ადამია-დღეს მართლაც ღირსშესანიშნავი დღეა ჩემთვის. მე მომეცა საშუალება ჩემი შემოქმედება მეჩვენებინა ჩემი საყვარელი ხალხისთვის, ჩემი სენაკელებისთვის. წარმოდგენილი მაქვს პეიზაჟები. ეს პეიზაჟები პარიზში გამოფენილი იყო თითქმის ყველა მუზეუმში, სხვადასხვა გალერეებში. ამ წლებში შეიქმნა კოლხური ოდები. ამ საქმეში გვერდით მედგა საპატიო მოქალაქე, კოლხური კულტურის მოამაგე პაატა ქურდოვანიძე. კოლხური ოდების ციკლის შექმნაში დიდია ჩემი ქალიშვილის მაია ადამიას წვლილი. ქარი იქნებოდა, ღრუბლიანი ამინდი თუ წვიმა ერთად ვიტანდით სიცხეს, წყურვილს და შიმშილს ყოველ დღე 70 დღის განმავლობაში.

მინდა ოტია იოსელიანის სიტყვები შევახსენო საზოგადოებას: „რეზო ადამიამ ესესაა მოუსწრო კოლხურ ოდებს და გადაარჩინა"... მართლაც რომ გადარჩენილად შეიძლება ჩავთვალოთ, თუკი ასე წავა საქმე"

მადლობას ვუხდი სენაკის მერს, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას, ხელოვნების მუშაკებს, სენაკის საზოგადოებას გამოფენის მოწყობისა და ჩემი შემოქმედების დაფასებისათვის.

ბატონი რეზო გაზეთ „კოლხეთის" ქომაგი, გულშემატკივარი და საპატიო რესპოდენტია. არაერთი პუბლიკაცია, პროზაული ნაწარმოები გამოქვეყნებულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. რესპუბლიკური, რეგიონალური, უცხოური პრესის გვერდებზე ხშირად ნახავთ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა შეფასებებს:

„ჯერ კიდევ ათეისტურ-კომუნისტურ ეპოქაში, როდესაც ეკლესიის წმინდანთა სახელის ხსენებაც კი მიუღებელი იყო, ხატავდა (წერდა) წმინდა ხატებს, რომელსაც უწმინდესი პატრიარქი სრულიად საქართველოსა ილია აგზავნიდა სხვადასხვა ეკლესიაში". (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. 2016წ)

„ვათვალიერებდი და მესმოდა კიდეც მძიმე და სველი (სამეგრელოა) თოვლის სუდარაში გახვეული ოდის ეზოში ძაღლების ჩუმი ყეფა. სადღაც ბინდი ჩამოაწვა მარტოხელა ფაცხას, უცნაურია – კვამლი არსაიდან ამოდის, თითქმის ყოველივე რაღაცნაირი მიტოვებულობის სევდითაა მოცული. ეს მარტივი პირველყოფის ადამიანური სითბოთი გამთბარი გარემო არაჩვეულებრივ მოგონებას აღძრავს ბუხრის მადლიანი სითბოთი განათებული ოდის ფანჯრიდან დანახული ეზოსი, ზამთრის დაბინდების პირის იდუმალებით გარინდული გარემოსი"... (ჯანრი კაშია. პარიზი).

„მარტვილის მონსატერი, შხეფის ციხე, წაჩხურისა და ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესიები, შესაშურად ბუნებრივი და საოცრად უშუალო კოლხური ზამთრის პეიზაჟები, დათოვლილი ქართული კოპიტის ხეები, ჯარგვალი, სასიმინდეები იდუმალი ძალით გიხმობს და გიზიდავს... (ვლადიმერ ზარიძე, 1998 წ. პარიზი)

ცხადია ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ჩაატიო ყველაფერი ის, რაც თქმულა და დაწერილა ბატონ რეზო ადამიას მრავალმხრივ ნიჭსა და განსწავლულობაზე.

გამოფენამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ადამიანებზე, შეიძლება ითქვას, რომ მის ყოველ ნახატში ჩანს რეზო ადამიასათვის დამახასიათებელი კოლხური სიდარბაისლე, პეწი და სიდინჯე.

დღეს, ზნეობრივი დეფიციტის ჟამს მნიშვნელოვანია ასეთი ხელოვანის არსებობა, შემოქმედებითი ღწვა, წარსულის თუ აწმყოს სულიერი ღირებულებების, მაღალი იდეალების გადარჩენისათვის და დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

გაზეთ „კოლხეთის" შემოქმედებითი ჯგუფი დიდი ხნის სიცოცხლეს და წარმატებულ დღეებს უსურვებს „კოლხური თოვლის იისფერი ფიფქების მეფეს" თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

მედეა ბაღათურია

„შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ"

ფოტოგრაფია აღიარებულია მე-19 საუკუნის უდიდეს გამოგონებად. დღევანდელი ფოტოგრაფიისაკენ მიმავალი გზა გრძელი იყო. ნაბიჯ-ნაბიჯ შეისწავლებოდა შუქმგრძნობიარე ნივთიერებებზე სინათლის ზემოქმედება, ამუშავებდნენ მათი საშუალებით გამოსახულების მიღების მეთოდებს, ხდებოდა ფოტოაპარატის წინამორბედი კამერა-ობსკურას სრულყოფა. ფოტოგრაფია კი იქცა ხელოვნების დამოუკიდებელ სახეობად – ფოტოხელოვნებად.

ფოტოგრაფია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. მას შემდეგ ფოტოგრაფიისადმი ინტერესი არ განელებულა. ამის დასტურად კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მილიარდობით სურათს იღებენ. ფოტოგრაფია კიდევ უფრო პოპულარული გახადა ციფრული ფოტოაპარატის გამოგონებამ, რომელშიც გამოსახულება მეგაპიქსელებში იქმნება. მის მეხსიერებაში ასობით ფოტოსურათის შენახვაა შესაძლებელი. მაღალი ხარისხის სურათების ბეჭდვა სახლშიც კი შეიძლება კომპიუტერისა და პრინტერის საშუალებით. დიახ, ფოტოგრაფიამ საოცარი პროგრესი განიცადა.

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო გამოფენა-შეხვედრა „შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ", რომელიც მიეძღვნა სენაკელი ფოტოგრაფების: პორფილე გვარამიას, ფარნაოზ ხოჭოლავას, ალიოშა სანაიას, როლანდი ჯიშკარიანის, აბელ კაციას, იურა საჯაიას, მურთაზ ქადარიას, დომნიკა სანაიას გახსენებასა და თანამედროვე ფოტო ხელოვანებთან: რიონ და გიორგი ნიკოლავებთან, იმედო და ლაშა გვასალიებთან, რომან ჩალიგავასთან შეხვედრას.

შეხვედრას ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი, დამირ კუჭავა უძღვებოდა. გამომსვლელთა შორის იყვნენ, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები: მაია ლაშქარავა და ლალი გულუა, ფონდების მცველი გრიალა მირგატია, ფოტოგრაფები: როინ და გიორგი ნიკოლავები, ლაშა გვასალია, მოწვეული სტუმრები: დალი შაფათავა, ლია ქობალავა, გრიალა რობაქიძე, მანანა კაცია, მზია ქადარია და ზაირა ფაჩულია. გამომსვლელებმა ისაუბრეს ფოტოგრაფიის ისტორიაზე, გაიხსენეს სენაკელი ფოტოგრაფების მოღვაწეობა. აღინიშნა, რომ ფოტოგრაფიამ დაარსების დღიდან სიმართლის ამსახველი დოკუმენტის ფუნქცია მიიღო და ამიტომ იგი ისტორიოგრაფიაში ითვლება ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ.

გამოფენა-შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ნარმანია, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, დირექტორის მოადგილე ნათია ეჯიბია, მერიისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ

მ. შონია

მუნიციპალიტეტის მერიაში

ნორჩ ინტელექტუალთა პაექრობა მეორე საჯარო სკოლაში

საქართველოს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მეორე საჯარო სკოლის საკონცერტო დარბაზში ნიჭიერების, გონიერების, სისხარტისა და კრეატიულობის დღესასწაული „ინტელექტუალური თამაში 2019" გაიმართა. მეხუთე კლასის დამრიგებლის, პედაგოგ გულნარა ბარკალაიას ორგანიზებით გამართულ, სანახაობრივად საინტერესო და დაძაბულ ინტელექტუალურ თამაშს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის მაჟორიტარი

დეპუტატის ბიუროს უფროსი თამარ სალაყაია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სახალისო, ინტელექტუალურ და დადებითი ემოციებით აღსავსე დღესასწაულზე ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციაში - „ყველაზე კრეატიული გუნდი", „მხატვრული კითხვის ნორჩი ოსტატი", „ვიოლინოს პატარა ჯადოსანი", „ინტელექტუალთა გუნდის საუკეთესო კაპიტანი", „ჟიურის რჩეული", „მაყურებლის სიმპათია" - გამაჯვებული მოსწავლეები გამოავლინა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი მიესალმა ამ საინტერესო ინიციატივას, მან, ნორჩ ინტელექტუალებს, წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ყველა, ვინც ამ დაძაბულ თამაშში მონაწილეობს, გამარჯვებულია. ლევან კუპრეიშვილმა დაანონსა, რომ უახლოეს პერიოდში, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება და მალე, მოსწავლეები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზით ისარგებლებენ. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ ნორჩ ინტელექტუალებს შემდგომი წარმატებები უსურვეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს საკრებულოს წევრმა, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა თამარ სალაყაიამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ზაზა ნაჭყებიამ, თავმჯდომარის მოადგილემ ინგა ქარდავამ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დარეჯან ზარანდიამ, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ თეა ფუტკარაიამ. „წლის ინტელექტუალი" ნორჩი ინტელექტუალთა გუნდის „ნოუ ჰაუ" კაპიტანი, მეხუთე კლასის მოსწავლე ამირან გოგია გახდა. მასვე ხვდა წილად „მაყურებლის სიმპათია" და „ჟიურის რჩეულის" ტიტული.

შეხვედრა ღვაწლმოსილ პედაგოგებთან

სენაკის საპატიო მოქალაქეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს, თაობათა მოძღვარს, ომიანა(ნუნუ) გურჩიანს 76 წელი შეუსრულდა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან გივი მისაბიშვილთან ერთად, იუბილარ პედაგოგს ესტუმრა და პროფესიულ დღესასწაულზე დაანონსებული, საპატიო სენაკელის სიგელი და მედალი გადასცა. ლევან კუპრეიშვილმა სენაკის საპატიო მოქალაქის სიგელი და მედალი თაობათა აღმზრდელ, დამსახურებულ მასწავლებლებს - ლამარა ლაზარიასა და ნორა გადელიასაც გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ამაგდარ პედაგოგებს, ხანგრძლივი შემოქმედებითი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადა, ჯანის სიმრთელე და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

წარჩინებულ მოსწავლეებს პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, პროექტის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის, საჯარო სკოლების მე-10 კლასელი მოსწავლეების დაჯილდოების რეგიონალური ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის, სენაკის, ფოთის, ხობის, მარტვილისა და აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრების და განათლების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სენაკის, ფოთის, ხობის, მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების 206 წარმატებულ აღსაზრდელს, მათ შორის 56 სენაკელ მოსწავლეს, პორტატული პერსონალური კომპიუტერები გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დარეჯან ზარანდიამ, ფოთის, ხობის, მარტვილისა და აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებმა და მათ ცოდნის მიღების გზაზე წინსვლა და გამარჯვებები უსურვეს.

მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა ასევე ფულადი ჯილდო გადასცა საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონში" გამარჯვებულ სენაკის ეტალონ მოსწავლეს - მარიოტელ გიორგი ჩავლეიშვილს, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს, მე-2 და პირველი საჯარო სკოლების მოსწავლეებს - გიორგი ჟვანიას, მათე საჯაიასა და მეოთხე ადგილის მფლობელს, ეტალონის ყველაზე პატარა მონაწილეს - მე-3 სკოლელ ანა ლომიას.

ღონისძიებაზე მუსიკალური და ლიტერატურულ-მხატვრული ნომრები წარმოადგინეს სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრ „ფიროსმანის" ნორჩმა მსახიობებმა.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი", რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს, მიზნად მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს. ღონისძიება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით წარიმართა.

„შემოდგომის ზეიმი" პირველ ბაგა-ბაღში

სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღებში „შემოდგომის ზეიმის" კვირეული მიმდინარეობს. დღეს, აქტივობის ფარგლებში, სტუმრებს, მშობლებსა და თანატოლებს პირველი ბაგა-ბაღის (გამგე თამარ გეგენავა) აღსაზრდელებმა უმასპინძლეს. ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ალექსანდრე ჯანჯღავა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სკოლამდელი სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. პირველი ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, შემოდგომის ფერებითა და ნობათით მორთულ ეზოში სანახაობრივად შთამბეჭდავი და სახალისო გარემო შექმნეს. ტრადიციული კვირეული მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში გაიმართება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

დიდ მწუხარებას გამოვხატავ ღვაწლმოსილი ქალბატონის, წლების მანძილზე, გაზეთ „კოლხეთის" ჟურნალისტის, ლამარა გადელიას, წარმატებული მეწარმისა და ქველმოქმედის, სენაკის საპატიო მოქალაქის, რეზო გარუჩავასა და ჩვენი ქალაქის მკვიდრის, სენაკელი ებრაელის, ნათელა წიწუაშვილის გარდაცვალების გამო.

დასანანია, რომ ამ ადამიანების სახით ჩვენ დავკარგეთ სიკეთის მთესველი, საქმის ერთგული, უანგარო და გამორჩეული სენაკელები.

ამ დიდ დანაკლისს გულისტკივილით ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს, მეგობრებს, კოლეგებს, სენაკს.

ლევან კუპრეიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ლამარა გადელია

გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი ლამარა სამსონის ასული გადელია.

დაიბადა 1929 წელს, დაამთავრა რკინიგზის №26 საშუალო სკოლა, შემდეგ ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1966 წელს დაიწყო მუშაობა გაზეთ „ავანგარდის" რედაქციაში კორექტორად, სხვადასხვა წლებში მუშაობდა „ავანგარდის" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, სარაიონთაშორისო გაზეთ „კოლხეთის" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ, ამავე გაზეთის ლიტერატურულ მუშაკად.

ქალბატონი ლამარა მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც გაზეთი „ავანგარდი", შემდგომ „კოლხეთი" გახლდათ რაიონის კულტურულ-ჟურნალისტური ცხოვრების ფლაგმანი. გაზეთთან თანამშრომლობდნენ სახელოვანი მეცნიერები და თეატრალები: ა. ჩიქობავა, ა. აფაქიძე, თ. დავითაია, პ. ქავთარაძე, ვ. გუნია, ა. ხორავა. რედაქციაში მკითხველებთან შეხვედრას აწყობდნენ გ. ლეონიძე, ი. ნონეშვილი, ფ. დგებუაძე-ფულარია და სხვები.. ქალბატონ ლამარა გადელიას პირადი არქივი ინახავს არაერთ საინტერესო მასალას, ღვაწლმოსილ ადამიანებთან გადაღებულ ფოტოებს.

თავის კორესპონდეციებში ქალბატონი ლამარა გამოხატავდა დაფასებას მშრომელი ადამიანისადმი, ზრუნვას ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდისადმი, სიყვარულს მშობლიური სანახების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნებისადმი.

ქალბატონი ლამარა ქართული ტრადიციული ოჯახის დიასახლისი გახლდათ. მეუღლე ლეონიდე ცხადაია რაიონის პედაგოგიური საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი იყო. სიყვარულით, ტრადიციების ერთგულებით ზრდიდნენ შვილს ლერი ცხადაის. მეუღლის გარდაცვალებამ, უსაყვარლესი დისშვილის ეკა გოგინავას მოულოდნელმა სიკვდილმა დიდი ტკივილი განაცდევინა.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ წყვეტდა კავშირს საყვარელ გაზეთთან და „კოლხეთელებთან".

ერთ-ერთ მილოცვაში წერდა:„კოლხეთი" ჩემთვის მეორე ოჯახია, ჟურნალისტიკის დღე, საიუბილეო ზეიმი ტრადიციულად წარსულ დღეთა მოსაგონარი, ეს დღეები ნოსტალგიას და სიხარულს იწვევს ჩემში"... ძალიან მენატრება ლინოტიპების მონოტონური წკაპუნი, საბეჭდი მანქანების რახრახი და საღებავშეუმშრალი გაზეთის სურნელი"...

ქალბატონი ლამარა წლების განმავლობაში ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. თავს კორესპონდენციებში მოზომილიც იყო და მიუკერძოებელიც.

მისი გარდაცვალება მტკივნეულია შვილისთვის, დისთვის,-ქალბატონ ნორასთვის, მათ ერთმანეთზე, ერთმანეთის ოჯახებზე ზრუნვაში გალიეს წლები. ერთად გაიარეს ჭირი და ლხინი, ერთად გაუმკლავდნენ განსაცდელს, ერთად ამხნევებდნენ ოჯახში თანადგომის საძიებლად მოსულ მოკეთე-მოყვარეს.

ქალბატონ ლამარას 90 წელი შეუსრულდა ნოემბერში, გიორგობის თვის მზიან დღეს გაჰყვა მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ძალიან დაგვაკლდები ქალბატონო ლამარა, იძინეთ მშვიდად, საყვარელ ადამიანებთან ერთად. გაზეთი „კოლხეთი" ღირსეულად გააგრძელებს წლობით ჩამოყალიბებულ ტრადიციას და კვლავაც მრავალი ლამაზი ფურცელი შეავსებს „კოლხეთის" ისტორიას.

„კოლხეთელები"

გული ცეკვავა

ხუთი წელი გავიდა, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, ფაზისის, სპორტისა და ეგრისის აკადემიების ნამდვილი აკადემიკოსის, ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოსი ვალერიან ჭანიას, ალექსანდრე კუჭუხიძის სახელობის ეკონომიკური დამოუკიდებელი უნივერსიტეტის, სენაკის ფაკულტეტის, სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის ჯემალ ცაავას, ფოთის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორის რევაზ ფაჩულიას, სოხუმის ვოვა ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის რექტორის რამინ ამლოთიას, პროფესორ გული ცეკვავას გარდაცვალებიდან.

ადამიანები ნებით თუ უნებლიეთ ჩაბმული ვართ წუთისოფლის ორომტრიალში, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის ცოცხლები არასოდეს ვივიწყებთ ჩვენთვის აწ გარდაცვლილ ადამიანებს. შევასრულეთ ჩემი მეუღლის თხოვნა და 500 გვერდიან წიგნად გამოვეცით გული ცეკვავას საინფორმაციო ისტორიული ფაქტებით გაჯერებული ბიოგრაფიული მომენტები. ბატონი გული აღნიშნავდა: ჩემს მემუარებს შვილები და შვილიშვილები, ყოფილი სტუდენტები, ნათესავები, მეგობრები წაიკითხავენ და ბევრ საკითხზე დაფიქრდებიანო.

ნათელში იყავ ძვირფასო ადამიანო! შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, არასოდეს დაგივიწყებენ, მემუარები შენი ცხოვრების დეტალებს ცოცხლად შეინახავენ. ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან ცოცხალი ყვავილებით და თაფლის სანთლებით.

შენი მოგონებებით დამწუხრებული
მეუღლე აფროდიტა (მანანა კვაშილავა) ცეკვავა

რეზო გარუჩავა

რეზო აპალონის ძე გარუჩავა დაიბადა 1939 წლის 15 ივლისს ქ. სენაკში. მამა აპალონ გარუჩავა წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დედა ვენერა შელია იყო შრომისმოყვარე, ენერგიული ქალბატონი. გარუჩავების ოჯახში 5 შვილი აღიზარდა ტრადიციების ერთგულებით და ზნეობრივი ღირებულებებით. რეზო გარუჩავა ბავშვობიდანვე ყალიბდებოდა ხალხის მოყვარე, ქველმოქმედ, შრომისმოყვარე, მოწესრიგებულ პიროვნებად.

1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ მოიხადა სამწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური.

1965 წელს რეზო გარუჩავა ჩაირიცხა სოხუმის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე (დაუსწრებელი განყოფილება).

ჯერ მუშად იმუშავა სენაკის ღვინის ქარხანაში, რათა კარგად გაცნობოდა ღვინის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს.

1972 წელს რაიონის შრომითი მოწყობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას დაეკისრა სოფელ ნოსირში მდებარე ნაყინის (ამჟამინდელი მცირე ზომის წარმოების) ხელმძღვანელობა. ახლად ჩამოყალიბებულ საამქროში ბევრი სიახლე იყო დასანერგი. ქ. თბილისში საკვალიფიკაციო კურსების გავლის შემდეგ საამქრომ უზრუნველყო ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება. ეს გახლდათ რეზო გარუჩავას ნიჭიერების და შრომისმოყვარეობის შედეგი. სენაკის ნაყინი მალე გაცდა რაიონის ფარგლებს და გაიზარდა მთელ რეგიონში მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე. რეზო გარუჩავას ყველაფერი გათვლილი ჰქონდა ხარისხზე და მაღალ ტექნოლოგიებზე. მისი 47 წლიანი შრომითი ბიოგრაფია გაჯერებულია დადებითი დეტალებით. დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით, „შრომის ვეტერანის" მედლით. ქველმოქმედებისა და ეკლესიების აღმშენებლობაში გაწეული დახმარებისათვის მიღებული ჰქონდა მღვდელმთავართა მადლობის წერილები. გულისხმიერი პიროვნება ითავისებდა სენაკელთა ჭირსა და ლხინს, ეხმარებოდა შეჭირვებულ ოჯახებს, ახალგაზრდებს.

მიმდინარე წელს ეგრისობაზე-გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მიენიჭა „სენაკის საპატიო მოქალაქის" წოდება.

რეზო გარუჩავა იყო ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცი, მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა. იგი მატერიალურთან ერთად, სულიერი ღირებულებებით აძლიერებდა ოჯახს.

სამწლიანი ავადმყოფობის შემდეგ დაასრულა მან სიცოცხლე. (80 წლის ასაკში) ტკივილების გმირული დათმენით და მშვიდობიანი სახით ეთხოვებოდა იგი მეგობრებს და საყვარელ ოჯახს. წავიდა ზეცას, სადაც კეთილი საქმეებით მოღვაწენი ღვთის შეწევნით განისვენებენ.

რეზო გარუჩავა მუდამ დარჩება სენაკელთა მეხსიერებაში ქველმოქმედ და კეთილ საქმეთა მკეთებელ პიროვნებად.

ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის
სენაკის ორგანიზაცია.

გიული ბაღათურია

მზიანი შემოდგომაა შენს მშობლიურ ქალაქში, ნაირფერ ხალიჩად გაშლილა შემოდგომის ფოთლები შენს ქუჩაზე, სახლის ეზოში, სადაც დაიბადე და გაიზარდე. შენობის ყოველ კუთხე-კუნჭულში უშენობის მტკივნეული განცდა ბინადრობს.

6 ათეულ წელს იმიერ საუფლოში ხვდები, არადა როგორ გიხაროდა დაბადების დღე, გვსაყვედურობდი ახლობლებს-თუკი მილოცვა დაგვავიწყდებოდა...

ძვიფასო ძმაო, დაბადების დღეს გილოცავ, შენ ჩემს გულში კვლავინდებურად ცოცხლობ, გიფიცებ როგორც ცოცხალს და უფრო ძლიერ მიყვარხარ!

შენი და მედეა

საინფორმაციო ცენტრისა და „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირმა მურღულიას მამის

ანზორ მურღულიას

გარდაცვალების გამო.

საინფორმაციო ცენტრისა და გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული სენაკელის

რეზო გარუჩავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტები იუწყებიან გაზეთ „კოლხეთის" ვეტერანი ჟურნალისტის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრის

ლამარა გადელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ზღაპრული კოშკი“ 20 წლისაა

ეს იყო 20 წლის წინ, როდესაც პატარების ჟრიამულმა გამოაცოცხლა კერძო ქართულ-რუსული ბაღის „ზღაპრული კოშკის” კედლები...

წარმატებით დაძლიეს პირველი სირთულეები ბაღის დამფუძნებელმა, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე ქალბატონმა ლუდმილა ნაჭყებიამ, აღმზრდელ-მასწავლებელმა ლალი სხულუხიამ, მუსიკის მასწავლებელმა მარინა კუპრეიშვილმა, ქორეოგრაფმა გიგა ბუკიამ. კერძო ბაღმა რაიონის სკოლამდელი აღზრდის სისტემაში სამართლიანად დაიმკვიდრა ლიდერის სახელი. საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესით, გართობისა და დასვენების საუცხოო გარემოთი, ქართულ-რუსული ბაღი „ზღაპრული კოშკი” მოზარდებს უყალიბებს იმ ძირითად უნარებს, რაც ბავშვებს სჭირდებათ როგორც სკოლაში, ისე მთელი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაც დღეს ბაღის კურსდამთავრებულები წარმატებულად სწავლობენ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში და წარმატებულად საქმიანობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე.

წელს მეოცე ბარაქიანი შემოდგომა იზეიმეს ბაღის აღსაზრდელებმა, ბაღის პედაგოგიური კოლექტივი მომავალშიც წარმატებულად, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გააგრძელებს სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობას.

მარიკა მიქაბერიძე

ბარაქიანი შემოდგომა

გრძელდება შემოდგომისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სენაკის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში. მასწავლებლები ცდილობენ უფრო და უფრო კრეატიული

იდეები განახორციელონ თავის აღსაზრდელებთან ერთად და ბავშვებს დაუვიწყარი წუთები აჩუქონ.

შემოდგომის ზეიმი განსაკუთრებულად აღნიშნეს ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ნოქალაქევის საბავშვო ბაღში (გამგე ვიოლეტა ბენდელიანი).

12 ნოემბერს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს: ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორს ალექსანდრე ჯანჯღავას, რუსუდან ჭანტურიას, ლეილა ცომაიას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს სასწავლო ოთახები, საბავშვო ბაღის ეზო შემოდგომის ნობათით დახუნძლული დახვდათ. თავს იწონებდნენ ბუნებრივი მასალებით მოწყობილი დეკორაციებიც.

აღსაზრდელებმა კოსტიუმები მოირგეს და „საქმიანობას” შეუდგნენ. ვის ლექსი ჰქონდა წასაკითხი, ვის სიმღერა – შესასრულებელი. ზოგი კიდევ „ბებიასთან” ერთად თათარაში ჩურჩხელებს ავლებდა. ზოგი მოსავალს „აბინავებდა”.ყველაზე პატარები თამაშით ირთობდნენ თავს.

„პატარებმა შეისწავლეს თემა „შემოდგომა”. დღევანდელი ზეიმი კი ამ თემის შემაჯამებელი ღონისძიებაა, -ამბობს ქალბატონი ვიოლეტა – მათ სასწავლო თემა „შემოდგომასთან” დაკავშირებით შესწავლილი აქტივობები მშობლებისა და სტუმრების წინაშე წარმოადგინეს. ღონისძიების მომზადებაში აღმზრდელებთან: მაია ქაჯაიასთან, თეა სანიკიძესთან, ბელა შაფათავასთან, ნათია სანიკიძესთან, მუსიკის მასწავლებელ მარიკა ბარძემაშვილთან, აღმზრდელის თანაშემწეებთან ლიკა კალანდისა და ნინო ყალიჩავასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა, რაც ძალიან სასიხარულოა. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს”.

მაია ქაჯაია, აღმზრდელ-მასწავლებელი –„ბავშვებთან მუშაობა სახალისოცაა და შრომატევადიც. მთელი კოლექტივი ვცდილობთ ყოველი ზეიმი დავგეგმოთ ბავშვების სურვილების და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ყველა აღსაზრდელისთვის ნამდვილ დღესასწაულად ვაქციოთ”.

თეა ქომეთიანი, მშობელი- „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი შვილი სწორი ღირებულებებით პატარაობიდანვე აღიზარდოს. ქალბატონმა ვიოლეტამ და მასწავლებლებმა უდიდესი შრომა და ენერგია ჩადეს ამ ღონისძიების გამართვაში, რისთვისაც მათი ძალიან მადლობელი ვარ”.

პატარებმა არამარტო თანატოლებს, უფროსებსაც გვაჩუქეს ერთი ღამაზი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით სავსე დღე.

გაზეთ „კოლხეთის” სახელით წარმატებას ვუსურვებ ნოქალაქევის საბავშვო ბაღის მასწავლებლებსა და აღსაზრდელებს.

მაია გერგაია

სპორტი

ჭადრაკი

2019 წლის 21-22 ოქტომბერს, სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლაში ჩატარდა სენაკელი მოჭადრაკეების მედეა და დავით ჩაჩიბაიების ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

ტურნირს ორგანიზებას უწევდა სენაკის სასპორტო გაერთიანება.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, სიგელებით და თასებით. ტურნირის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი მერაბ ჯღამაძე. მსაჯი:ზურაბ ლიფონავა.

I ადგილზე გავიდნენ: გიორგი ჭანტურია, საბა კორძახია, ლიზი წულაია. II-ზე: ნიკოლოზი წირქვაძე, გუგა ფარულავა, ეთო წულაია. ხოლო III ადგილზე: ნიკოლოზი კვარაცხელია, დავითი ფაცია, თამარ გეგია.

ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით. დავით და მედეა ჩაჩიბაიების სახელობის თასით დაჯილდოვდნენ, პირველი ადგილზე გასული მოჭადრაკეები.

ტურნირს ესწრებოდა დავით და მედეა ჩაჩიბაიების დედა ქალბატონი ლიანა ჩაჩიბაია და დავით ჩაჩიბაიას ვაჟი კახა ჩაჩიბაია, რომლებმაც დაჯილდოვეს ტურნირის გამარჯვებულები.

ხელბურთი

2019 წლის 7 ნოემბერს, სენაკის სპორტის სასახლეში, სასკოლო ოლიმპიადა 2020 მუნიციპალური თამაშების ფარგლებში, სკოლებს შორის გაიმართა შეხვედრა ხელბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის.

მონაწილეობდნენ: მეშვიდე საჯარო, ნოსირის, ძვ. სენაკის და თეკლათის სკოლები. ორივე კატეგორიაში გამარჯვება ხვდა წილად ნოსირის საჯარო სკოლას.

სპორტის მასწავლებელი, აჩიკო ჯღამაია.

შეჯიბრის მიმდინარეობას სენაკის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი გოგიტა მზარელუა,სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა, სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნუგზარ ძაძამია, სენაკის სასპორტო გაერთიანების მთავარი სპეციალისტი სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში ანზორ ცაგურია, შესაბამისი სამსახურების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ძიუდო

2019 წლის 2-3 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული გიორგი ველიჯანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო ტურნირი 2004-2006 წლებში დაბადებულ გოგონათა და 2006-07 და 2008-2010 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლეები. ანანო კინწურაშვილმა (32 კგ.) დაიკავა I ადგილი, თეა დემურიამ (52 კგ.), დიანა ჭაავამ (44 კგ.), ალექსი გულუამ (30კგ.)-II, სალომე სოლომონიამ (52 კგ.) და მარი ფარულავამ (28კგ.)-III.

მწვრთნელ - მასწავლებლები: გელა ხარბედია, უჩა ჯღარკავა. ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით. ვულოცავთ ძიუდოისტებს და მათ მწვრთნელებს გამარჯვებას.

ირინა გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499